„ქართულ სამშენებლო ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემების გავლენა ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე“

ანა სოფრომაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხაარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ანა სოფრომაძე, 21.06.2026

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი კურსის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათია ვაჩეიშვილს, ნაშრომის მომზადებისა და სრულყოფილად ჩამოყალიბების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობა მიიღო თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული ნაშრომის განხორციელებაში.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამშენებლო ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის (OHSMS / ISO 45001) დანერგვას, ფუნქციონირებასა და მის გავლენას ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე. კვლევის ძირითადი მიზანია შეაფასოს, რამდენად ეფექტიანად არის ინტეგრირებული შრომის უსაფრთხოების სისტემა პრაქტიკაში და როგორ აღიქვამენ მას სხვადასხვა დონის თანამშრომლები, მათ შორის მენეჯერული და ოპერაციული პერსონალი.

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდოლოგიით, რომელიც მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მიდგომებს. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა 172 რესპონდენტისგან, რომლებიც წარმოადგენენ სამშენებლო და სამშენებლო მასალების სექტორში დასაქმებულ დაბალი რგოლის თანამშრომლებს. თვისებრივი მონაცემები მიღებულია მენეჯერული პოზიციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. მონაცემების ანალიზი განხორციელდა თემატური და აღწერითი სტატისტიკური მიდგომების გამოყენებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამშენებლო ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა ძირითადად ფორმალურად არის დანერგილი და შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება განსხვავდება ორგანიზაციებსა და სამუშაო ობიექტებზე. რესპონდენტთა შეფასებების მიხედვით, სისტემა ფართოდ არის აღიარებული როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი სამუშაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ორგანიზაციული ეფექტიანობის ზრდისთვის. ამასთან, გამოვლინდა, რომ მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მენეჯმენტის ჩართულობის ხარისხზე, კომუნიკაციის სისტემაზე და პროცედურების პრაქტიკულ აღსრულებაზე.

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, თანამშრომლები პოზიტიურად აფასებენ შრომის უსაფრთხოების სისტემის გავლენას პროდუქტიულობაზე და სამუშაო გარემოს სტაბილურობაზე. ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია აღსრულების ხარისხთან, რესურსების

შეზღუდვასთან და ფორმალურ პროცედურებსა და რეალურ პრაქტიკას შორის არსებულ განსხვავებასთან.

საერთო ჯამში, კვლევა აჩვენებს, რომ შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამშენებლო ორგანიზაციების ეფექტიანობაში, თუმცა მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭიროა პრაქტიკული იმპლემენტაციისა და მენეჯერული ჩართულობის გაძლიერება.

საკვანძო სიტყვები: შრომის უსაფრთხოება, OHSMS, ISO 45001, სამშენებლო სექტორი, ორგანიზაციული ეფექტიანობა

ABSTRACT

This Master's thesis examines the implementation, functioning, and impact of Occupational Health and Safety Management Systems (OHSMS / ISO 45001) in construction organizations. The main objective of the study is to assess how effectively occupational safety systems are integrated into practice and how they are perceived by employees at different organizational levels, including both managerial and operational staff.

The study utilizes a mixed-methods design that integrates both quantitative and qualitative approaches. Quantitative information was gathered from 172 participants employed at lower organizational levels within the construction and construction materials industries. Qualitative information was collected through interviews conducted with representatives of managerial positions. The collected data were processed and analyzed using thematic analysis alongside descriptive statistical techniques.

The research findings demonstrate that occupational health and safety management systems are formally implemented in construction organizations and are generally aligned with international standards; however, their practical application varies across organizations and construction sites. Respondents widely recognize the system as an important mechanism for improving workplace safety and enhancing organizational efficiency. Furthermore, the successful functioning of the system is determined by the degree of management engagement, the effectiveness of internal communication, and the proper application of safety procedures in practice. The results also show that, despite existing challenges, employees generally perceive the occupational safety system positively in terms of its impact on productivity and workplace stability. The main challenges identified include inconsistent enforcement, resource limitations, and a gap between formal procedures and actual practices.

Overall, the research highlights that occupational health and safety management systems serve as an essential component in strengthening organizational efficiency and improving safety performance within construction organizations; however, their full effectiveness requires stronger practical implementation and greater managerial engagement.

Keywords: occupational safety, OHSMS, ISO 45001, construction sector, organizational efficiency